*<u>პროექტი</u>*

# საქართველოს კანონი

# „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონს (www.matsne.gov.ge, 27.12.2019, სარეგისტრაციო კოდი: 300280000.05.001.019734) დაემატოს შემდეგი შინაარსის $167^2$ მუხლი:

**„მუხლი $167^2$. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების გაანგარიშების წესი იმ რეგულირებული ელექტროსადგურებისთვის, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ელექტროენერგიის მიწოდებას**

ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების გაანგარიშების/დადგენის დროს არ იქნეს გათვალისწინებული ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ წარმოებული და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მიწოდებული ელექტროენერგიის ოდენობა სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ).

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** *მიხეილ ყაველაშვილი*